

ფიზიკური პირები

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიზნებისთვის ფიზიკურ პირებად ითვლებიან:

- საქართველოს მოქალაქეები;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეები;
- მოქალაქეობის არმქონე პირები.

ფიზიკური პირი ითვლება საქართველოს რეზიდენტად, თუ იგი ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე არანაკლებ 183 დღისა ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში, რომელიც მთავრდება მოცემულ საგადასახადო წელს.

საქართველოს ტერიტორიაზე ფაქტობრივად ყოფნის დროდ ითვლება ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირი იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ საქართველოს სახელმწიფო სამსახურში. ამ დროს მიეთვლება დრო, როცა ფიზიკური პირი სპეციალურად გავიდა საქართველოს ფარგლებს გარეთ სამკურნალოდ, დასასვენებლად, მივლინებით ან სასწავლებლად.

საქართველოში ფაქტობრივად ყოფნის დროს არ განეკუთვნება ისეთი შემთხვევები როცა, პირი საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებოდა:

- დიპლომატიური ან საკონსულო სტატუსით ან ასეთი პირის ოჯახის წევრი;
- როგორც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელი ან როგორც საქართველოში უცხო ქვეყნის სამსახურში მყოფი პირი, მისი ოჯახის წევრი (გარდა საქართველოს მოქალაქეებისა);
- ერთი უცხო ქვეყნიდან მეორეში გადაადგილებისას საქართველოს ტერიტორიის გავლით;
- სამკურნალოდ ან დასასვენებლად.

საქართველოს ტერიტორიაზე ფაქტობრივად ყოფნის დღედ ითვლება დღე, რომლის განმავლობაშიც ფიზიკური პირი იმყოფება საქართველოში, მიუხედავად მისი ყოფნის ხანგრძლივობისა. რეზიდენტებისა და არარეზიდენტების სტატუსი დგინდება ყოველი საგადასახადო პერიოდისათვის.

- **ის დღეები, რომელთა მიხედვითაც ფიზიკური პირი წინა საგადასახადო პერიოდში ჩაითვალია რეზიდენტად, აღარ გაითვალისწინება მომდევნო საგადასახადო პერიოდში რეზიდენტობის დადგენისას.**

ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად ითვლება ადგილი, რომელსაც იგი ირჩევს საცხოვრებლად ან სადაც იმყოფება ფაქტობრივად, ამასთან არასრულწლოვანისთვის – მშობლების, ხოლო სამეურვეო ან სამზრუნველო პირისთვის – მეურვის ან მზრუნველის საცხოვრებელი ადგილი. სამხედრო მოსამსახურის ან მუდმივად გადაადგილებაში მყოფი ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად ითვლება ადგილი, სადაც იგი ცხოვრობს ან რეგისტრირებულია დადგენილი წესით.

- **თუ ფიზიკურ პირს აქვს რამდენიმე საცხოვრებელი, მაშინ მის საცხოვრებელ ადგილს და ფაქტობრივად ყოფნის ადგილს განსაზღვრავს საგადასახადო ორგანო მასთან შეთანხმებით.**

- ფიზიკური პირის ფაქტობრივად ყოფნის ადგილად შეიძლება ჩაითვალოს ადგილი, სადაც იგი დროებით ცხოვრობს.

მეწარმე ფიზიკური პირი შეიძლება იყოს ინდივიდუალური საწარმო (ინდივიდუალური მეწარმე, როგორც ინდივიდუალური საწარმოს მფლობელი არის ფიზიკური პირი, რომლის სამეწარმეო საქმიანობისთვის აუცილებელია საწარმოს წესით მოწყობილი ორგანიზაცია, მოწესრიგებული საკასო და საბუღალტრო საქმე. სამართლებრივ ურთიერთობებში იგი გამოდის თავისი სახელით¹) ან ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს კანონით განსაზღვრულ არასამეწარმეო საქმიანობას (სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის საგადასახადო კონსულტაცია), სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა²).

- მეწარმე ფიზიკური პირის საქმიანობის ადგილად ითვლება მისი ეკონომიკური საქმიანობის ადგილი.
- ფიზიკური პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება რეგისტრაციის, ლიცენზიის ან ნებართვის გარეშე, არ არის დაბეგერის მიზნით მისი მეწარმე ფიზიკურ პირად არცნობის საფუძველი.

ბადასახადები ფიზიკური პირებისთვის

(დამატებითი ინფორმაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადების შესახებ იხილეთ მისამართზე www.bcneg.ge)

საშემოსავლო

საგადასახადო კოდექსის თანახმად საშემოსავლო გადასახადის გადამხდელად ითვლებიან რეზიდენტი ფიზიკური პირები და არარეზიდენტი ფიზიკური პირები, რომლებიც შემოსავალს იღებენ საქართველოში არსებული წყაროდან.

საშემოსავლო გადასახადით იბეგრება:

- ერთობლივი შემოსავალი;
 - ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი;
 - ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი;
 - სხვა შემოსავლები.
- ფიზიკური პირის ამხანაგობებში და სხვა ანალოგიურ წარმონაქმნებში მონაწილეობის შემთხვევაში ფიზიკური პირის ერთობლივ შემოსავალში უნდა ჩაირთოს მისი წილის პროპორციული შემოსავალი ამხანაგობის დასაბეგრ მოგებაში (შემოსავალში).

ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 12 %. ყოველთვიურად, საანგარიშოს მომდევნო თვის 15 რიცხვისთვის საგადასახადო ორგანოსთვის გადახდილი თანხების შესახებ ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება ეკისრება:

¹ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ მუხლი 2 პუნქტი 2.

² საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ მუხლი 1 პუნქტი 2.

- მეწარმე ფიზიკურ პირს, რომელიც ანაზღაურებას უხდის საგადასახადო ორგანოში გადამხდელად არარეგისტრირებულ ფიზიკურ პირს;
- პირს, რომელიც დაკავებულია სათამაშო ბიზნესით და ფიზიკურ პირს უხდის მოგებებს.

მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას, ვალდებული არიან მიმდინარე გადასახდელების თანხები ბიუჯეტში შეიტანონ გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის მიხედვით, შემდეგი ოდენობით:

- არა უგვიანეს 15 მაისისა – 25%;
- არა უგვიანეს 15 ივლისისა – 25%;
- არა უგვიანეს 15 სექტემბრისა – 25%;
- არა უგვიანეს 15 დეკემბრისა – 25%.

➤ გადასახადის გადამხდელი, რომელსაც გასული საგადასახადო წლის განმავლობაში არ გააჩნდა დასაბეგრი შემოსავალი, მიმდინარე გადასახადებს არ იხდის.

ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას (გარდა სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში აქტივების ან/და ფასიანი ქაღალდების რეალიზაციისა), აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის და მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას (გარდა I და II რიგის მემკვიდრეების მიერ მათთვის ქონების ჩუქებისა და ასევე III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ 150 000 ლარის და მეტი ღირებულების ქონების ჩუქების ან/და მემკვიდრეობით მიღებისას) საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება აქტივის გადაცემამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი საგადასახადო ორგანოს წარუდგენს დეკლარაციას.

ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციას (გარდა ფასიანი ქაღალდებისა და ფიზიკური პირის საკუთრებაში 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში არსებული უძრავი ნივთის და ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაციისა), აგრეთვე ქონების (გარდა უძრავი ნივთის) საჩუქრად მიღებისას (გარდა I და II რიგის მემკვიდრეების მიერ მათთვის ქონების ჩუქებისა და ასევე III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ 150 000 ლარის და მეტი ღირებულების ქონების ჩუქების ან/და მემკვიდრეობით მიღებისას, თუ აღნიშნული ქონება არ არის უძრავი) მომავალი მესაკუთრის საკუთრების უფლების რეგისტრაციას ახორციელებს მხოლოდ საგადასახადო ორგანოს მიერ მატერიალური აქტივის რეალიზატორი ფიზიკური პირისათვის ან ქონების საჩუქრად მიმღები ფიზიკური პირისათვის მიცემული ცნობის საფუძველზე, რომლითაც დასტურდება საგადასახადო ვალდებულების შესრულება ან მისგან განთავისუფლება.

საგადასახადო წლის განმავლობაში III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ 150 000 ლარის და მეტი ღირებულების ქონების ჩუქებით ან/და მემკვიდრეობით მიღების შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება ქონების (შემოსავლის) მიღებიდან არა უგვიანეს 2 კალენდარული წლის განმავლობაში ყოველი 5 თვის შემდგომი თვის 15 რიცხვისათვის თანაბარ ნაწილებად, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი საგადასახადო ორგანოს წარუდგენს დეკლარაციას.

დამატებული ღირებულების გადასახადი

საგადასახადო კოდექსის თანახმად დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გადამხდელად ითვლება პირი, რომელიც რეგისტრირებულია ან ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად. დღგ-ს განაკვეთი შეადგენს 18 % და დეკლარაციის წარდგენა ხდება საანგარიშო თვის მომდევნო თვეს.

- პირი, რომელიც არ არის დღგ-ის გადამხდელი, მაგრამ ახორციელებს საქონლის დასაბეგრ იმპორტს საქართველოში, დღგ-ის გადამხდელად ითვლება მხოლოდ ამ იმპორტზე.

პირი, რომლის დღგ-თი დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა გადააჭარბებს 100 000 ლარს და ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში, იგი დღგ-ს გადამხდელად ითვლება რეგისტრაციისათვის საგადასახადო ორგანოში განცხადების წარდგენის ვალდებულების მომდევნო დღიდან.

აქციზი

საგადასახადო კოდექსის თანახმად აქციზის გადამხდელია პირი, რომელიც:

- აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში – თავის მიერ წარმოებულ საქონელზე;
- ახორციელებს აქციზური საქონლის ექსპორტს – თავის მიერ განხორციელებულ ექსპორტზე;
- ახორციელებს ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის მიწოდებას ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის – ასეთ მიწოდებაზე.

აქციზით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი ოპერაცია და საქართველოში აქციზური საქონლის იმპორტი. აქციზით დასაბეგრი ოპერაციებია:

- საკუთარი წარმოების აქციზური საქონლის გამოყენება არააქციზური საქონლის წარმოებისათვის;
- მწარმოებლის მიერ დამკვეთის ნედლეულით საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის გადაცემა დამკვეთისათვის;
- აქციზური საქონლის ექსპორტი;
- ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის მიწოდება ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის;
- სხვ.

აქციზის განაკვეთი დიფერენცირებულია საქონლის ნომენკლატურისა და ზომის ერთეულის მიხედვით და დეკლარაციის ჩაბარება ხორციელდება დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისთვის.

საბაჟო გადასახადი

საგადასახადო კოდექსის თანახმად საბაჟო გადასახადის გადამხდელი არის პირი, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებს საქონელს. საბაჟო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია იმ საქონლის საბაჟო ღირებულება, რომელიც გადააკვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს, თუ საგადასახადო კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საგადასახადო კოდექსი ადგენს საბაჟო გადასახადის დიფერენცირებულ განაკვეთებს სასაქონლო ჯგუფების მიხედვით. საბაჟო გადასახადის განაკვეთი შესაძლოა იყოს 12% და 5%, ასევე დადგენილია ფიქსირებული საგადასახადო განაკვეთები სხვადასხვა საქონელზე. საბაჟო დეკლარაციის შევსება ხდება საბაჟო ტერიტორიაზე.

სოციალური გადასახადი

საგადასახადო კოდექსის თანახმად სოციალური გადასახადის გადამხდელად ითვლებიან:

- დამქირავებელი;
- მეწარმე ფიზიკური პირი, რომელიც საქართველოში გაწეული მომსახურების ღირებულებას უნაზღაურებს საგადასახადო ორგანოში გადამხდელად არარეგისტრირებულ ფიზიკურ პირებს;
- მეწარმე ფიზიკური პირები, ამხანაგობის წევრი ფიზიკური პირები (თანამფლობელები), რომლებიც საქართველოში ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას.

დამქირავებლის შემთხვევაში სოციალური გადასახადით დაბეგვრის ობიექტია ხელფასი, ხოლო მეწარმე ფიზიკური პირის შემთხვევაში, რომელიც საქართველოში გაწეულ მომსახურებას უნაზღაურებს საგადასახადო ორგანოში გადამხდელად არარეგისტრირებულ ფიზიკურ პირებს – მომსახურების გაწევისათვის გადახდილი საზღაური ან სარგებელი.

მეწარმე ფიზიკური პირებისთვის და ამხანაგობის წევრი ფიზიკური პირებისთვის (თანამფლობელებისთვის), რომლებიც საქართველოში ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას, სოციალური გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სამეწარმეო საქმიანობით მიღებული და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საქმიანობით³ მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება საშემოსავლო გადასახადის შესახებ კოდექსით გათვალისწინებულ დებულებათა შესაბამისად.

- **სოციალური გადასახადის განაკვეთი შეადგენს დაბეგვრის ობიექტის 20 პროცენტს.**

³ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი: „სამეწარმეო საქმიანობად არ ჩაითვლება ფიზიკური პირების სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო და სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის საგადასახადო კონსულტანტთა), სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა; სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო წარმოებები შეიძლება არსებობდეს 2.1 მუხლში გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, თუ მათი მფლობელი რეგისტრაციაში გატარდება. რეგისტრაცია სავალდებულოა, თუ წარმოებაში მუდმივად დასაქმებულია მფლობელის ოჯახის არაწევრი ხუთი პირი მაინც“.

დამქირავებლის შემთხვევაში სოციალური გადასახადი გადაიხდება დაქირავებულისთვის ხელფასის ან სხვა მომსახურების ანაზღაურების გაცემისთანავე, ხოლო, თუ ხელფასები გაიცემა ბანკის საშუალებით – დამქირავებელი შრომის ასანაზღაურებლად თანხების მოთხოვნასთან ერთად ბანკში წარადგენს საგადასახადო დავალებას გადასახადის გადარიცხვის თაობაზე. გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო დავალების წარდგენის გარეშე ბანკი ხელფასის თანხას არ გასცემს.

- გადასახადის გადამხდელის მიერ სოციალური გადასახადი გამოიანგარიშება ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისათვის და საგადასახადო ორგანოებს წარედგინება დეკლარაცია.

მეწარმე ფიზიკური პირები, ამხანაგობის წევრი ფიზიკური პირები (თანამფლობელები) სოციალურ გადასახადს იხდიან საშემოსავლო გადასახადის მიმდინარე გადასახდელებისთვის დადგენილ ვადებში და შესაბამისი პროპორციით. სოციალური გადასახადის მიმდინარე გადასახდელები განისაზღვრება გასული საანგარიშო წლის დეკლარაციის მიხედვით, შემდეგი ოდენობით:

- არა უგვიანეს 15 მაისისა – 25%;
- არა უგვიანეს 15 ივლისისა – 25%;
- არა უგვიანეს 15 სექტემბრისა – 25%;
- არა უგვიანეს 15 დეკემბრისა – 25%.

- საგადასახადო დეკლარაციის წარდგენა ხდება საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციასთან ერთად.

ქონების გადასახადი

საგადასახადო კოდექსის თანახმად ქონების გადასახადის გადამხდელია პირი (აგრეთვე ლიზინგით საგნის მფლობელი პირი), რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე:

- საკუთრებაში ან ლიზინგით აქვს ამ გადასახადით დაბეგვრის ობიექტი.
- კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა (ფაქტობრივ მფლობელობაში იგულისხმება მიწის ფაქტობრივი ფლობა ან მიწით სარგებლობა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მიწის ფლობისა და მიწით კანონიერი სარგებლობისა).
- ფაქტობრივ მფლობელობაში ან/და სარგებლობაში აქვს გარდაცვლილი პირის საკუთრებაში რიცხული ამ გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფაქტობრივი მფლობელის მიერ ქონებით სარგებლობა ხორციელდება იჯარით, ქირით, უზურფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე.

- ქონების გადასახადის გადამხდელია აგრეთვე პირი, რომელიც ითვლება ამ გადასახადით დაბეგვრის ობიექტის ცრუმაგიერ მფლობელად.

გადასახადის წლიური განაკვეთით ქონების ღირებულების არა უმეტეს 1 %-ს ოდენობისა იბეგრება შემდეგი ქონება:

- ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული ან ლიზინგით აღებული ქონების (გარდა მიწისა) იჯარით, ქირით, უზურფრუქტით ან სხვა ამგვარი ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ქონება;
- მეწარმე ფიზიკური პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული ან განკუთვნილი ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობები და არამატერიალური აქტივები (გარდა ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული ან ლიზინგით აღებული ქონება (გარდა მიწისა)).

ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ (გარდა მიწისა) ან ლიზინგით აღებულ უძრავ ქონებაზე, შენობა-ნაგებობებზე ან მათ ნაწილზე (გარდა სამეწარმეო საქმიანობისთვის გამოყენებული, ასევე იჯარით, ქირით, უზურფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ქონებისა) გადასახადი დიფერენცირებულია გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და განისაზღვრება შემდეგი ოდენობებით:

- 60 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,05 პროცენტისა და არა უმეტეს 0,2 პროცენტისა;
- 60 000 ლარიდან 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,2 პროცენტისა და არა უმეტეს 0,4 პროცენტისა;
- 100 000 ლარი და მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,4 პროცენტისა და არა უმეტეს 0,8 პროცენტისა.

ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ ან ლიზინგით აღებულ საქართველოში რეგისტრირებულ მსუბუქ ავტომობილებზე (საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდით გათვალისწინებული საქონელი) გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია⁴ მსუბუქი ავტომობილის სახეობის ძრავის მოცულობის და ხნოვანების მიხედვით.

ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ საქართველოში რეგისტრირებულ იახტებზე (კატარღებზე), თვითმფრინავებსა და შვეულმფრენებზე გადასახადის წლიური განაკვეთები დიფერენცირებულია სატრანსპორტო საშუალების სახეობებისა და ძრავის სიმძლავრის მიხედვით.

ფიზიკური პირისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთი დიფერენცირებულია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და მიწის ხარისხის მიხედვით და დგინდება ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით, ლარებში.

⁴ აღნიშნული გადასახადის გადახდა არ არის დამოკიდებული ფიზიკური პირის მიერ წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავალზე.

- ფიზიკური პირისთვის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის საბაზისო განაკვეთი დგინდება წელიწადში მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე 0,24 ლარის ოდენობით.

ფიზიკური პირის ოჯახის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავლებში შეიტანება ყველა შემოსავალი (სარგებელი) საგადასახადო შეღავათების გათვალისწინების გარეშე, მათ შორის:

- ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი;
- ეკონომიკური საქმიანობით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან;
- ნებისმიერი შემოსავალი (სარგებელი), რომელიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან.

- აღნიშნულ შემოსავლებში არ გაითვალისწინება ოჯახის წევრებისაგან მემკვიდრეობით, ჩუქებით ან განქორწინების საფუძველზე მიღებული ქონების ღირებულება.

ქონების გადასახადის საგადასახადო პერიოდად ითვლება კალენდარული წელი და დეკლარაციის ჩაბარება ხდება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 მაისამდე.

- ფიზიკური პირები ქონების გადასახადს იხდიან არა უგვიანეს საგადასახადო წლის 15 ნოემბრისა.

თუ ოჯახის ორ ან მეტ წევრს აქვს ზემოთ აღნიშნული დაბეგვრის ობიექტი, ამ პირთაგან ნებისმიერ სრულწლოვან ფიზიკურ პირს უფლება აქვს წარადგინოს ქონების გადასახადის ერთიანი (საოჯახო) წლიური დეკლარაცია, რომელშიც აისახება როგორც ამ პირის, ასევე ოჯახის სხვა წევრების დაბეგვრის ობიექტები. ამ შემთხვევაში დეკლარაციის წარმდგენ პირს ოჯახის სხვა წევრებთან მიმართებით ქონების გადასახადში საგადასახადო ვალდებულების შესრულების მიზნით ენიჭება გადასახადის გადამხდელის წარმომადგენლის უფლებამოსილება.

- ასეთ შემთხვევაში ითვლება, რომ ოჯახის სხვა წევრმაც (წევრებმაც) შეასრულა (შეასრულეს) ქონების გადასახადის მიხედვით საგადასახადო ანგარიშების ვალდებულება. ამასთანავე, დეკლარაციაზე საგადასახადო ოჯახის ამ წევრის (წევრების) ხელმოწერა.